საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

166-გ-2-202001271221

N 166-გ 27/01/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს - ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, სოფელ ველისციხიდან სოფელ კაკაბეთამდე (ცენტრალურ მაგისტრალამდე სოფელ ჭერემის გავლით) გზის რეაბილიტაციისა და მდ. ჭერმისხევზე ორი ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტირებას.

გაცნობებთ, რომ ზემოხსენებულ პროექტში იგეგმება მცირედი ცვლილების შეტანა, რომელიც ითვალისწინებს საპროექტო გზის გაზრდას 2500 მეტრით. ზემოხსენებულ მონაკვეთზე განხორციელდება მხოლოდ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: შეიცვლება გზის არსებული საფარი, აგრეთვე მოეწყობა ლითონის 530 მმ დიამეტრისა და რკინა-ბეტონის 1 მეტრი დიამეტრის მქონე მილები და ცხაურით დახურული რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ცვლილების შედეგად, საპროექტო გზა აღარ დასრულდება სოფელ კაკაბეთში და სანაცვლოდ შეერთდება თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო მნიშვნელობის გზასთან (ს-5) შემდეგ კოორდინატებზე: X - 4614439.185; Y - 544014.020. შესაბამისად, საპროექტო გზის მთლიანი სიგრძე ნაცვლად 27 კმ-სა, იქნება 29 კმ.

გამომდინარე იქედან, რომ ზემოხსენებულ მონაკვეთზე პროექტის მიხედვით იგეგმება მცირე მასშტაბის სამუშაოები, ასევე, საპროექტო გზა უშუალოდ სოფლის ტერიტორიას მიუყვება, სადაც ფიქსირდება ანთროპოგენული ზემოქმედების მაღალი მაჩვენებელი, ბუნებრივ გარემოს შემადგენელ მნიშვნელოვან კომპონენტებზე (ბიოლოგიური გარემო, გეოლოგიური გარემო, ჰიდროლოგიური გარემო და სხვ.) ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ხოლო დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და მონიტორინგის გეგმების შესაბამისად.

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია გაითვალისწინოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას.

პატივისცემით,

გიორგი შენგელია

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge